ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი და ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი თავიანთი ბიზნესსაქმიანობის შედეგებს აქვეყნებენ პრესრელიზის სახით. ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოს ოპერატორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მმართველი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების საერთო ოპერატორია. ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი შაჰ დენიზის საბადოს ოპერატორია. თითოეული ამ საწარმოთაგანი გვაწვდის მათი პროექტების შესაბამის ინფორმაციას, და აკეთებს განცხადებებს თავიანთი პროექტების შესახებ.

ინფორმაცია ბიზნესსაქმიანობის შესახებ
2022 წლის პირველი ნახევარი

2022 წლის 4 აგვისტო

<u>**აზერი-ჩირაგ-გუნაშლი (ACG)**</u>

ACG-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (30.37%), SOCAR (25.0%), MOL (9.57%), INPEX (9.31%), Equinor (7.27%), ExxonMobil (6.79%), TPAO (5.73%), ITOCHU (3.65%), ONGC Videsh Limited (OVL) (2.31%).

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი ACG-ის ოპერატორია, ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელით.

2022 წლის პირველ ნახევარში, ACG-ის საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 229 მილიონ აშშ დოლარი, ხოლო კაპიტალური დანახარჯი კი 791 მილიონი აშშ დოლარი იყო.

წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, Azeri Central East-ის (ACE) პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, ბიპი-ს სხვა პროექტების მსგავსად.

2022 წლის პირველ ნახევარში, ACG-მ სამუშაოების 75% დაასრულა. ამჟამად პროექტის პიკზე დასაქმებულია 5000 ადამიანი, მათ შორის ბაქოდან, დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან, უმეტესწილად აზერბაიჯანის მოქალაქეები.

ზოგადად, საინჟინრო, შესყიდვის და წარმოების სამუშაოები გრაფიკის მიხედვით გრძელდება, რაც ხელს უწყობს ACE-ის პროექტიდან პირველი გაზის მიღებას 2023 წელს.

<u>წარმოება</u>
2022 წლის პირველ ნახევარში, ACG-მ გააგრძელა უსაფრთხო და საიმედო წარმოება. მთლიანად ACG-მ წლის პირველი კვარტალის განმავლობაში საშუალოდ დღეში 424,000 ბარელი ნავთობი აწარმოა. (ჯამში 77 მილიონი ბარელი ანუ 10 მილიონი ტონა) შემდეგი პლატფორმებიდან: ჩირაგიდან (25,000 ბ/დ), ცენტრალური აზერიდან (108,000 ბ/დ), დასავლეთ აზერიდან (109,000 ბ/დ), აღმოსავლეთ აზერიდან (62,000 ბ/დ), გუნეშლის ღრმაწყლებიდან (78,000 ბ/დ) და დასავლეთ ჩირაგიდან (42,000 ბ/დ).

კვარტალის ბოლოს, 136 ჭაბურღილი აწარმოებდა ნავთობს, აქედან 37 ჭაბურღილი წყლის და რვა კი გაზის ინიექციისათვის იყო გამოყენებული.

<u>ბურღვა და პროექტების დასრულება</u>

2022 წლის პირველ ნახევარში, ACG-მ დაასრულა რვა ნავთობის მწარმოებელი ჭაბურღილი.

<u>ასოცირებული გაზი</u>

წლის პირველ ნახევარში, ACG-მ აზერბაიჯანის სახელმწიფოს საშუალოდ დღეში 9 მილიონი კუბური მეტრი ასოცირებული გაზი მიაწოდა (ჯამში 2 მილიარდი კუბური მეტრი). ძირითადად სანგაჩალის ტერმინალზე, ამასთანავე სოკარის ნავთობის ქანების ობიექტიდან. წარმოებული ასოცირებული გაზის ნარჩენის რეინიექცია განხორციელდა რეზერვუარში წნევის შესანარჩუნებლად.

სანგაჩალის ტერმინალი

2022 წლის პირველ ნახევარში ACG-ის და Shah Deniz-ის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი და გაზი ზღვისქვეშა მილსადენებით სანგაჩალის ტერმინალისკენ მიედინებოდა.

ტერმინალს ამჟამად დღეში 1.2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობის და კონდენსატის გადამუშვება და შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული დაახლოებით 81 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის გადამუშვება შეუძლია. თუმცა საერთო ჯამში ტერმინალის გაზის გადამუშავების და ექსპორტის სიმძლავრე, ACG-ს ასოცირებულ გაზთან ერთად დაახლოებით დღეში 100 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრია.

პირველი ექვსი თვის განმავლობაში სანგაჩალის ტერმინალმა 114 მილიონზე მეტი ბარელი ნავთობის და კონდენსატის ექსპორტი განახორციელა. მათ შორის, 107 მილიონი ბარელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გავლით და დაახლოებით 7 მილიონი ბარელი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის) გავლით.

გაზის ექსპორტი განხორციელდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სისტემის და აზერბაიჯანის გაზის მილსადენების საშუალებით, რომელიც სანგაჩალის ტერმინალის გაზის გადამამუშავებელ მოწყობილობებს აზერიგაზის ეროვნულ გამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს.

წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, სანგაჩალის ტერმინალიდან ექსპორტზე დღეში საშუალოდ 69 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი შაჰ-დენიზის გაზი გადიოდა. (დაახლოებით 2,440 მილიონ სტანდარტულ კუბურ ფუტი).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)

The BTC Co.-ს აქციონერები არიან: bp (30.1%); SOCAR (25.00%); MOL (8.90%); Equinor (8.71%); TPAO (6.53%); Eni (5.00%); TotalEnergies (5.00%), ITOCHU (3.40%); INPEX (2.50%), ExxonMobil (2.50%) and ONGCVidesh (2.36%).

2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, BTC-ს საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი 49 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი 9 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა.

2022 წლის 23 მარტს, BTC-მ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია და სანგაჩალის ტერმინალიდან აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით ტრანსპორტირებული ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე მე-5000 ტანკერი ჩაიტვირთა.

1768კმ სიგრძის მილსადენმა 2006 წლის ივნისში ფუნქციონირების დაწყებიდან 2022 მეორე კვარტლის ბოლომდე ჯამში 3.87 მილიარდი ბარელი ნედლი ნავთობი გაატარა (516 ტონაზე მეტი). 5087 ტანკერი დაიტვირთა და გაიგზავნა მსოფლიო ბაზრებზე.

2022 წლის პირველ ნახევარში, დაახლოებით 107 მილიონი ბარელი (14.1 მილიონ ტონაზე მეტი) ბი-თი-სი-ს მიერ ექპორტირებული ნედლი ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე 148 ტანკერში ჩაიტვირთა.

ბი-თი-სი ამჟამად ძირითადად აზერბაიჯანიდან ACG-ის ნედლი ნავთობის და შაჰ-დენიზის კონდენსატის ტრანსპორტირებას ახორციელებს. ბი-თი-სი-ს საშუალებით ასევე გრძელდება კასპიის რეგიონის ნედლი ნავთობის და კონდენსატის სხვა მოცულობების ტრანსპორტირება.

<u>შაჰ-დენიზი</u>

Shah Deniz-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (operator – 29.99%), LUKOIL (19.99%), TPAO (19.0%), SOCAR (14.35%), NICO (10.0%), SGC (6.67%),

2022 წლის პირველ ნახევარში, შაჰ-დენიზის საოპერაციო დანახარჯმა 1.260 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალური დანახარჯი 186 მილიონი აშშ დოლარი იყო, მათ შორის უმეტესი შაჰ-დენიზ 2-ის პროექტთან იყო დაკავშირებული.

<u>წარმოება</u>

მეორე კვარტალის განმავლობაში შაჰ-დენიზის საბადომ განაგრძო გაზის მიწოდება ბაზრებისთვის აზერბაიჯანში (აზერკონტრაქტისთვის), საქართველოში (საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციისთვის), თურქეთში (ბოტაშისთვის) და კომპანია ბი-თი-სი-სთვის სხვადასხვა ლოკაციებზე და მყიდველებისთვის ევროპაში.

2022 წლის პირველ ნახევარში საბადომ ჯამში 13 მილიარდ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი გაზი აწარმოა და დაახლოებით 2 მილიონი ტონა (18 მილიონ ბარელზე მეტი) კონდენსატი შაჰ-დენიზ ალფა და შაჰ-დენიზ ბრავო პლატფორმებიდან.

შაჰ-დენიზის არსებული მოწყობილობების საწარმოო სიმძლავრე ამჟამად დღეში 70 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრ გაზზე მეტია, რაც წელიწადში 25 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება.

<u>პროექტი შაჰ-დენიზ 2</u>

2022 წლის პირველ ნახევარში, შაჰ-დენიზ 2-ის პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. დასავლეთ-სამხრეთის ფლანგიდან წარმოების დაწყება მესამე კვარტალში იგეგმება.

<u>ბურღვა</u>

2022 წლის პირველ ნახევარში, შაჰ-დენიზის ალფა პლატფორმის საბურღი დანადგარი სრული დატვირთვისთვის მზადყოფნის რეჟიმში მუშაობდა.

საბურღი დანადგარების საშუალებით საერთო ჯამში 21 ჭაბურღილის ბურღვა დასრულდა და აქედან 19 შაჰ-დენიზ 2-ის წარმოებისთვის და წარმოების შემდგომი ზრდისთვის განხორციელდა. დასრულებულ ჭაბურღილებში შედის ხუთი ჭაბურღილი ჩრდილოეთის ფლანგზე, ოთხი დასავლეთის, ოთხი აღმოსავლეთ-სამხრეთის, ოთხი დასავლეთ-სამხრეთის და ორი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე. ერთი ჭაბურღილი დასავლე-სამხრეთის ფლანგზე და ერთი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგზე საბოლოო სიღრმემდე გაიბურღა და დროებით შეჩერდა.

<u>სამხრეთ კავკასიის მილსადენი</u>

The SCP Co-ს აქციონერები არიან: bp (29.9%), LUKOIL (19.9%), TPAO (19.0%), SOCAR (14.35%), NICO (10.0%) and SGC (6.67%).

2022 წლის პირველ ნახევარში, SCP-ს საოპერაციო დანახარჯი ჯამში დაახლოებით 29 მილიონ აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარი.

SCP 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შაჰ-დენიზის გაზს აწვდის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. მილსადენის გაფართოების პროექტიდან თურქეთისთვის გაზის კომერციული მიწოდება 2018 წლის ივნისში დაიწყო და ევროპისთვის კი 2020 წლის დეკემბერში.

2022 წლის პირველ ნახევარში, SCP-ის გაზის საშუალო გატარება იყო 56.9 მილიონი კუბური მეტრი დღეში.

<u>საძიებო სამუშაოები</u>

2021 წლის მარტში შაფაგ-ასიმანის საზღვაო ბლოკზე დასრულდა ბურღვის სამუშაოები პირველ საექსპლუატაციო ჭაბურღილზე, ფასილას რეზერვუარის საბაზისო დონეზე, 7189 მეტრის სიღრმეზე. არსებული რესურსების შეფასება მიმდინარეობს შემდეგი ნაბიჯების დასაგეგმად.

მეჩხერწყლიანი აბშერონის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ პერსპექტიულ არეაზე 2022 მესამე საძიებო ჭაბურღილი მოეწყო და პერმანენტულად დაიხურა 25 მაისს. სხვა ჭაბურღილებზეც არ აღმოჩნდა ნახშირწყალბადების ეკონომიური თვალსაზრისით ხელსაყრელი რაოდენობები და ამით პროექტი დასრულდა.

<u>ადამიანები</u>

2022 წლის პირველ ნახევარში კომპანიაში 233 ადამიანი იყო დასაქმებული.

ბი-პი საქართველოს თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

ბი-პი-ს ძალისხმევა მიმართულია თანამშრომლების სწავლების და განვითარების პროგრამების ოპტიმიზაციისკენ და კომპანია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებში, რათა წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ტალანტის ბაზრის განვითარებაში.

<u>სოციალური ინვესტიციები</u>

საქართველოში, ისევე როგორც კასპიის რეგიონში, ბი-პი-ს პროექტების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატორის შესაძლებლობაზე შექმნას ხელშესახები სარგებელი ამ პროექტებიდან რეგიონის მოსახლეობისთვის. ამის მისაღწევად ბი-პი და მისი პარტნიორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი სოციალური ინვესტიციების პროექტების განხორციელებას, მათ შორის განათლების დარგში, ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების გაზრდის, და მოსახლეობისთვის სოციალური ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით, მცირე ბიზნესის წამოწყების და მისი განვითარების ხელშეწყობისთვის, დაფინანსების და ტრენინგების საშუალებით. ასევე კულტურული

მემკვიდრეობის და სპორტის ხელშეწყობის და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებით.

2022 წლის პირველ ნახევარში, ბი-პი-მ და პარტნიორებმა, რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა, საქართველოში განხორციელებულ სოციალურ პროგრამებში და პროექტებში 507 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში განხორციელებული სოციალური ინვესტიციების პროექტების ზოგიერთი მაგალითი:

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების პროგრამა

ბი-პი (იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერების სახელით, რომელთა ოპერატორიც საქართველოში ბი-პი-ა) აგრძელებს ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის პროგრამას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ თემეში. ამჟამად პროგრამა უკვე მე-7 ფაზაშია და 98 ადგილობრივ თემში მუშაობს. მე-7 ფაზის ბიუჯეტი 1.670,000 აშშ დოლარია. პროგრამის განხორციელება 2022 წლის იანვარში დაიწყო და 2026 წლის იანვარში დასრულდება.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა BTC/SCP მილსადენების გასწვრივ მცხოვრები ადგილობრივი თემების საარსებო საშუალებების და სიცოცხლისუნარიანობის გაუმჯობესებას, მათი სოციალურ-ეკონომიკურ და გარემოსდაცვით საქმიანობაში ჩართვის და ბიპი-სა და მოსახლეობას შორის ჰარმონიული ურთიერთობების შესანარჩუნების გზით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 30 ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება ადგილობრივ თემებში, 20 ინოვაციური გარემოსდაცვითი, 147 ბიზნესის განვითარების პროექტის ხელშეწყობა და სულ მცირე 800 სამუშაო ადგილის შექმნა. 2022 წლის პირველ ნახევარში, პროგრამამ საინფორმაციო კამპანია წამოიწყო და სოციალური ინფრასტრუქტურის და ბიზნესის განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით კონკურსი გამოაცხადა.

მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამა

ამჟამად პროგრამა უკვე მე-4 ფაზაშია და 121 ადგილობრივ თემში მუშაობს. პროგრამის ბიუჯეტი 650,000 აშშ დოლარია და მისი განხორციელება 2022 წლის იანვარში დაიწყო და 2026 წლის იანვარში დასრულდება.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მილსადენების გასწვრივ მცხოვრები თემების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას როგორც მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობით ასევე არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის გაფართოების საშუალებით. ასევე პრიორიტეტულია მეწარმეების უნარ-ჩვევების გაძლიერება, მათთვის ბიზნესის მართვის ცოდნის მიწოდების საშუალებით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 141 ბიზნესის ხელშეწყობა, მათ შორის 123 ახალი ბიზნესის ჩამოყალიბება და 18 არსებული ბიზნესის გაფართოება. შეიქმნება 150 სამუშაო ადგილი თვითდასაქმებულთათვის. დღევანდელი მონაცემებით 26 ბიზნესი შეირჩა დასაფინანსებლად.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე შემეცნებითი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე ხორციელდება ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოეწყობა შემეცნებითი საფეხმავლო ბილიკი. ბილიკი იქნება როგორც საგანმანათლებლო, ასევე გასართობი დანიშნულების. პროექტის ბიუჯეტი 25 000 აშშ დოლარია. პროექტის განხორციელება დაიწყო 2022 წლის მაისში და 2022 წლის დეკემბერში დასრულდება.

პროექტი დაფინანსებულია bp-სა და მისი პარტნიორების მიერ და ახორციელებს ქეა კავკასია ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან ერთად. მსგავსი პროექტები მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების განვითარებისთვის.

პარტნიორობა პარალიმპიურ კომიტეტთან

ბი-პი საქართველოში პარალიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია. პარტნიორობა 2012 წლიდან დაიწყო და 2024 წლამდე გაგრძელდება.

ინგლისური ენა ჟურნალისტებისათვის

ბი-პი-ს მიერ 2005 წელს ინიცირებული ინგლისური ენის სწავლების პროგრამა ადგილობრივი ჟურნალისტებისთვის გრძელდება. პროგრამა საქართველოში მოღვაწე ჟურნალისტებს ხელს უწყობს ინგლისური ენის და პროფესიონალური უნარ-ჩვევების დახვეწაში. პროგრამა სწავლის შესაძლებლობას სთავაზობს ადგილობრივ მედიაში (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური და ონლაინ) მოღვაწე 60 ჟურნალისტს. სასწავლი კურსი 2022 იანვარში დაიწყო და 9 თვის განმავლობაში გაგრძელდება. 2022 წლის პირველ კვარტალში სამოცმა ჟურნალისტმა დაიწყო ინგლისური ენის სწავლა ბრიტანეთის საბჭოს მიერ უშუალოდ ჟურნალისტებისთვის შერჩეული პროგრამით. 25 სტუდენტი B1 დონეს შეუერთდა, 30 – B2-ს და 5 კი C1-ს.